ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6928480

ნომერი: AR11015225

თარიღი : 12.02.2024

გაცემის თარიღი : 12.03.2024

გაცნობის თარიღი : 12.03.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა , აკაკი ბელიაშვილის , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კახუაშვილი პ/ნ 01023006633
- თბილისი სანზონა კორ. 7 ბ. 4

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო-საგამოფენო პავილიონი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რევაზ ავალიშვილი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2024 წლის 12 თებერვლის AR11015225 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
2009 წლის 04 მაისის #346 სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია საკურორტო–სარეკრეაციო ზონა 1 (სრზ–1) ფუნქციური ზონის პირობებით, სადაც დადგენილებით მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 12 მეტრს, რაც ფიქსირდება აქტში. რაც შეეხება ,,ზონალური საბჭო“–ს 2012 წლის 10 იანვრის #01 სხდომაზე საკადასტრო ერთეულებზე საკადასტრო კოდით #01.13.03.010.028 და #01.13.03.010.005 სავაჭრო–საგამოფენო პავილიონის და სასტუმროს განთავსების მიზნით სიმაღლის მომატების საკითხს, აღნიშნული გადაწყდა დადებითად და დაინტერესებულ ტერიტორიებზე სიმაღლე განისაზღვრა H=15,2 მ.

ვინაიდან მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონა და მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სიმაღლის მაჩვენებელის ცვლილებას, სამსახური მოკლებულია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განცხადება

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.